საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7969
20/12/2022

7969-21-2-202212201223

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“
მის: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა №19
ელ. ფოსტა: mariam.mchedlishvili@energo-pro.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6248 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას (ეგხ „ჩოლურის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილება).

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის გათვალისწინებული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 10 ოქტომბრის N21/5997 წერილით მოთხოვნილი შემდეგი საკითხი:

- წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში (საინჟინრო-გეოლოგიურ ანგარიშში) კვლავ არ არის ასახული ინფორმაცია საპროექტო არეალში საშიში გეოლოგიური პროცესების არსებული მდგომარეობისა და დაგეგმილი საქმიანობის ზემოქმედებით, მომავალში მათი შესაძლო გააქტიურების შესახებ. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სამშენებლო დერეფანში ფიქსირდება რამდენიმე მეწყრული სხეული, ზემოაღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს სკრინინგის განცხადებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო